# საზეიმოდ აფრიალდა ალამი




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 101 (2464) ◉ კვირა, 24 მაისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.


## გაიხსნა სტუდენტთა თამაშები

საზეიმოდ მორთულ თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონს გუშინ ათასობით სპორტის მოყვარული ესტუმრა. ისინი მოვიდნენ სტუდენტთა რესპუბლიკური თამაშების გახსნის სანახავად. პარადის კომანდორს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ო. კაკიაშვილს მოედანზე შემოჰყავს უმაღლესი სასწავლებლების სპორტსმენთა დელეგაციები, რომლებიც ცენტრალური ტრიბუნის წინ მოეწყვნენ.

ჰაერში გაისმა შვეულმფრენის გუგუნი. სტადიონის თავზე მის ჯიხურს მოწყდა ადამიანის ფიგურა, და უცებ გაიშალა პარაშუტი. მოედნის ცენტრში ზუსტად დაეშვა საბჭოთა კავშირის გმირი, მსოფლიო რეკორდსმენი საპარაშუტო სპორტში ა. ხოხლინი. ეს მისი 1-[illegible]-ე ნახტომი იყო.

საჰაერო სანახაობა, რომელმაც მრავალრიცხოვანი მაყურებლის ცხოველი ინტერესი გამოიწვია, დამთავრდა. ო. კაკიაშვილმა თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს უპატაკა სპორტსმენთა მზადყოფნა, რის შემდეგ სიტყვა თქვა საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ჯიბლაძემ. სტუდენტ-სპორტსმენებს მიესალმა ა. ხოხლინი. „ბურევესტნიკის" სპორტული სკოლის ნორჩმა ფეხბურთელებმა აღლუმის მონაწილეებს მიართვეს ყვავილთა თაიგულები.

სტუდენტთა სპორტული საზოგადოება „ბურევესტნიკის" ალამი ანძისკენ მიაქვთ საზოგადოების საუკეთესო სპორტსმენებს. გაისმა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის დიდებული მელოდია და ანძაზე აფრიალდა საქართველოს სახელმწიფო დროშა და „ბურევესტნიკის" სპორტული ალამი. სტუდენტთა III რესპუბლიკური თამაშები გაიხსნა.

მოედანზე გამოვიდნენ თბილისის „დინამოს" დუბლიორთა და რესპუბლიკის დედაქალაქის ახალგაზრდული ნაკრები გუნდები. მაყურებელი ტაშით შეეგება დინამოელთა რიგებში სპორტის ოსტატ ს. კოტრიკაძის გამოჩენას. იგი ჩვეული ოსტატობით იცავდა კარს. მატჩი მოიგეს დინამოელებმა — 5:0.

საინტერესო ბრძოლა ნახეს მაყურებლებმა ტაიმებს შორის შესვენებისას. გაიმართა შეჯიბრება მძლეოსნურ ამანათრბენში 4×100 მ. ვაჟთა გუნდებს შორის თამაშების ჩემპიონი გახდა უნივერსიტეტის გუნდი. ქალთა შორის გაიმარჯვეს ფიზკულტურის ინსტიტუტელებმა.

გუშინ ჩვენი დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე გრძელდებოდა თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრები სპორტის მთელ რიგ სახეობებში.

* * *

სურათზე: სტუდენტთა თამაშების საზეიმო გახსნა თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ყველაფერი გაირკვევა კვირას

### საბჭოთა კავშირის პირველობა წყალბურთში

მოსკოვი, 23 მაისი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამოს" წყალბურთელთა გუნდი უმაღლეს ლიგაში გადავიდა, მისი შეხვედრა მოსკოველ თანაკლუბელებთან მუდამ ამ უკანასკნელთა გამარჯვებით მთავრდებოდა. გამონაკლისს წარმოადგენდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე რამდენიმე მატჩის მოგება მოსკოველებთან და აი, დადგა ამ ორი გუნდის მორიგი შეხვედრის მომენტიც. ერთდღიანი შესვენების შემდეგ განახლდა მატჩები. მეზღვაურთა ცენტრალური სპორტკლუბისა და ბაქოს წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიის გუნდებისა (5:4) და მოსკოვის უნივერსიტეტის კოლექტივისა და მოსკოვის „ტორპედოს" (4:1) მატჩების შემდეგ ძველი მეტოქეები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს.

ორივე კოლექტივისთვის, როგორც ჰაერი, ისე იყო საჭირო მოგება. ეს მათ ბრინჯაოს მედლების მოპოვების შანსებს აძლევდა. ამიტომ იყო, რომ თამაშის პირველსავე წუთიდან „მინდორზე" საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა უპირატესობის მოპოვებისათვის. პირველ 5 წუთში ორივე გუნდის მოთამაშეები ძალიან ნერვიულობდნენ და მიუტევებელ შეცდომებს უშვებდნენ. შემდეგ თამაში თანდათან ჩადგა კალაპოტში და უკვე პირველ შესვენებამდე გამოირკვა თბილისელთა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფსიქოლოგიური უპირატესობა — ისინი მოსკოველებზე უფრო მეტად და მწვავედ ამჟღავნებდნენ გამარჯვებისადმი სწრაფვას. და აი, შუა ტაიმში მარჯვენა ფრთიდან განახორციელეს სწრაფი შეტევა. ბურთი მიიღო სანაძემ და იგი ორ მეტოქეს შორის მყოფ მიმინოშვილს ზუსტად დაუგდო ხელზე. მიმინოშვილმა ძნელი მდგომარეობიდან ლამაზი ბურთი გაიტანა ჩვენი ქვეყნის ექვსგზის ჩემპიონის კარში.

შემდგომში თბილისელებს კიდევ ჰქონდათ ბურთის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ჩიქვანაიას ნატყორცნი ბურთი კარის ძელს მოხვდა.

ერთწუთიანი შესვენების შემდეგ, როცა შეტევაზე კვლავ თბილისელები იყვნენ, მათ ბურთი დაკარგეს და დაისაჯნენ კიდეც: მოსკოველმა კარტაშოვმა აღადგინა წონასწორობა — 1:1.

მესამე პერიოდშიც იგივე სურათი იყო: თბილისელები იერიშს იერიშზე ახორციელებდნენ, მოსკოველები უმეტესად თავიანთი კარის დაცვით იყვნენ დაკავებული. ერთ-ერთ ასეთ მომენტში მოსკოველებს ეგონათ, რომ წიკლაური ბურთს პარტნიორს აწოდებდა. მაგრამ თბილისელმა ბურთი მოსკოველთა კარის მაღალ კუთხეში გაგზავნა. მეკარე შუბერტმა ვერ შეძლო ზუსტად ნატყორცნი ბურთის უკუგდება და ანგარიში გახდა 2:1.

უკანასკნელ 5 წუთში მოსკოველები ბევრს ეცადნენ დამარცხებისაგან თავის დაღწევას, მაგრამ ამაოდ. თბილისის დინამოელები ოსტატურად იცავდნენ კარს და ამასთან ერთად ხშირად გადადიოდნენ მწვავე კონტრიერიშზე.

ასე, თბილისის „დინამოს" გამარჯვებით (2:1) დამთავრდა ეს საინტერესო თამაში.

კვირას ჩვენი წყალბურთელები ჩაატარებენ ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩს ბაქოს გუნდთან და გამარჯვების შემთხვევაში მესამე საპრიზო ადგილს დაიკავებენ.

ზ. ჯაფარიძე

## თურქეთსა და პოლონეთში

3 ივნისს თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი გაემგზავრება თურქეთში. სტუმრები პირველ შეხვედრას გამართავენ 6 ივნისს „ფენერბახჩესთან", რის შემდეგ კიდევ ორ თამაშს ჩაატარებენ თურქეთის გუნდებთან.

21 და 23 ივნისს თბილისის დინამოელები პოლონეთში ითამაშებენ ადგილობრივ საკლუბო გუნდებთან.

## სამახსოვრო მედლებით

ცნობილი ჩეხოსლოვაკელი სპორტსმენ-ავტომოგზაურების ირჟი განზელკასა და მიროსლავ ზიკმუნდის მრავალრიცხოვან ჯილდოსა და სამახსოვრო სუვენირებს კიდევ ორი მედალი მიემატა: სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მაღალი სპორტული მიღწევებისათვის ისინი დააჯილდოვა სამახსოვრო მედლებით, რომლებითაც უკანასკნელ ხანს საბჭოთა მფრინავ-კოსმონავტებს აჯილდოებენ.

## უკანასკნელ საათს...

ბუდაპეშტი. 23 მაისს აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩი უნგრეთისა და საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს უნგრელებმა — 2:1.

პირველ შეხვედრაშიც (პარიზში) გამარჯვება უნგრელებს დარჩათ — 3:1.

ამრიგად გამოირკვა კიდევ ერთი ნახევარფინალისტი: ესპანეთისა და დანიის ნაკრებ გუნდებთან ერთად ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს უნგრელებმაც.

*ჩეშსკე-ბუდეიოვიცე. მშვიდობის ველორბოლის XIII ეტაპი პარდუბიცე—ჩეშსკე-ბუდეიოვიცე ამ უაღრესად საინტერესო შეჯიბრების ბოლოსწინა „ტურია". მისი სიგრძე 196 კილომეტრს უდრის. ეტაპის ფინიშზე ერთდროულად მივიდა ველოსიპედისტთა დიდი ჯგუფი, რომელშიც საუკეთესო იყო პ. დოლეჟალი (ჩეხოსლოვაკია) — 5:26.14,0.*

*გუნდურ ჩათვლაში კვლავ ლიდერობს გდრ-ის ნაკრები, ხოლო პირადში ლიდერის მაისურს ისევ ი. სმოლიკი (ჩეხოსლოვაკია) ინარჩუნებს.*

*საბჭოთა სპორტსმენთაგან ყველას აჯობა ვ. კაპიტონოვმა (VI ადგილი).*

**გუშინ** თბილისის სპორტის სასახლეში გრძელდებოდა მოკრივეთა საკავშირო ზონალური პირველობა. შედგა ნახევარფინალური შეხვედრები.

ქვემსუბუქი წონის მოკრივე, თბილისელი პაპანდოპულო დამარცხდა უევინსკისთან (ლვოვი). ვარდანიანმა (თბილისი) მოუგო ლენინგრადელ პავლოვს.

კვანტალიანმა (მსუბუქი წონა) წააგო ცერცვაძესთან. რაზმაძემ მეორე რაუნდში ნოკაუტით მოუგო ლომაკინს (მოსკოვი). მაჭავარიანმა (ქუთაისი) მოუგო ალიოშაიტისს (კაუნასი). ზებულაშვილი დამარცხდა ხარლამპიდისთან (ტაშკენტი). მამამთავრიშვილმა მოუგო ვორობიოვს (მოსკოვი).

ამრიგად, საქართველოს მოკრივეები რაზმაძე, ცერცვაძე, ვარდანიანი, მაჭავარიანი და მამამთავრიშვილი ფინალში გავიდნენ.



*კიშინიოვი. აქ დამთავრდა „ა" კლასში XIII—XXIV ადგილებისათვის მებრძოლ ხელბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტური. წარმატება ხვდა კიევის ორ გუნდს — „ბურევესტნიკსა" და „სპარტაკს", რომლის ხელბურთელებმა XIII—XIV ადგილები მოიპოვეს და გაისად უძლიერესთა რიგებში იქნებიან.*

*თბილისის „განთიადის" კოლექტივმა 8 ქულით XIX ადგილი დაიკავა. გაისად იგი კვლავ „ა" კლასის II ჯგუფის გუნდთა შორის იქნება.*

**პარიზი.** ევროპის პირველობაზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ძიუდოისტთა ნაკრები პირველად გაემგზავრა საზღვარგარეთ. იგი საპასუხო ვიზიტით ეწვია საფრანგეთს (ფრანგი სპორტსმენები სსრ კავშირში 1961 წელს იყვნენ).

ამსტერდამი. საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირზე გადადებული შეხვედრების დამთავრების დღეს III ტურის გადადებულ პარტიებში ივკოვმა მოუგო პერესს, კვინონესმა — ფოგელმანს, ლარსენმა — პახმანს, ლენდიელმა — ბერგერს, დარგამ — სპასკის. ვრანეშიჩისა და ბენკოს პარტია ყაიმით დამთავრდა. მეორე გადადებულ პარტიაში I ტურიდან ვრანეშიჩი თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეუთანხმდა პორატს.

სურათზე: დ. ბრონშტეინისა (მარცხნივ) და მ. ტალის შეხვედრა.

ფოტო საკდესისა

# სტუდენტთა თამაშები



კალათბურთი. დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ტურნირი, რომელშიც 8 კოლექტივი მონაწილეობს.

პირველი დღის თამაშებმა ცხადყო, რომ შეჯიბრებაში მონაწილეთა ძალები თანაბარი არ არის. ასე მაგალითად, ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა გამანადგურებელი ანგარიშით 104:36 დაამარცხა პედინსტიტუტი, ხოლო პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა — სოხუმის გუნდი — 117:36.

დიდი ანგარიში იქნა ფიქსირებული უნივერსიტეტისა და გორის პედინსტიტუტის კალათბურთელთა შეხვედრაშიც — 95:51. და მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო და მედინსტიტუტის კალათბურთელთა მატჩი დამთავრდა „ნორმალური" ანგარიშით — 75:63.



ძალოსნობა. უნივერსიტეტის სპორტული დარბაზის ფიცარნაგზე ასპარეზობა დაიწყეს ძალოსნებმა. პირველ დღეს სტუდენტთა თამაშების ჩემპიონები სამ წონით კატეგორიაში გამოირკვნენ. სამწუხაროდ, კვლავ გვიხდება (უკვე რამდენჯერ!) ლაპარაკი შეჯიბრების ვიწრო გეოგრაფიული არის შესახებ. საკმარისია აღინიშნოს, მაგალითად, რომ უმჩატეს წონაში 5 სპორტსმენიდან 4 თბილისელი იყო, ხოლო ისეთი ქალაქებიდან, როგორიც ქუთაისი და სოხუმია, უმჩატეს, მჩატე და ქვემსუბუქ წონებში არც ერთი სპორტსმენი არ მონაწილეობდა. ეს მდგომარეობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

ასპარეზობაში თავი ისახელა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა მ. პართენაძემ, რომელიც პირველობდა მჩატე წონის ძალოსანთა შორის (267,5 კგ). ახალგაზრდა, ნიჭიერი ძალოსანი მეორედ ზედიზედ გახდა სტუდენტთა თამაშების ჩემპიონი. „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს ორი რეკორდი დაამყარა უმჩატესი წონის ძალოსანმა, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ა. პაპისმედოვმა. აკვრაში 100 კილოგრამისა და სამჭიდში 260 კილოგრამის ჩვენებით მან პირველობა არავის დაუთმო. ქვემსუბუქ წონაში პირველი ადგილი დაიკავა მ. წიწუაშვილმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 290 კგ.



ფარიკაობა. მოფარიკავეთა ასპარეზობა გახსნეს ხმლით მებრძოლებმა, რომლებმაც პირველ დღეს გაითამაშეს პირადი პირველობა. შეჯიბრებაში სულ მონაწილეობდა 13 სპორტსმენი, რომლებიც მხოლოდ თბილისის, ქუთაისისა და ცხინვალის უმაღლეს სასწავლებლებს წარმოადგენენ. ამ სახეობის „გეოგრაფიის" მეტად მცირე მასშტაბებია! მონაწილენი დაყოფილი იყვნენ ორ ქვეჯგუფში, რომელთაგან შემდეგ 7-მა უძლიერესმა შეადგინა ფინალური ჯგუფი. ფინალში მოხვდნენ: გოგელია (უნივერსიტეტი), ადეიშვილი, კოვაჩევიჩი (სპი), ფეიქრიშვილი, მჭედლიძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ასათიანი, ჩუბინიძე (ქუთაისის პედინსტიტუტი).

თამაშების ჩემპიონი ფაქტიურად უნდა გამოვლენილიყო ორი ფავორიტის — სპორტის ოსტატების ა. გოგელიასა და მ. ადეიშვილის „დავაში". ეს ასეც მოხდა, მაგრამ საკითხის გარკვევას მოუნდა ორი ორთაბრძოლა ამ სპორტსმენებს შორის. პირველი მათგანი ფინალის მიმდინარე კალენდრით იყო გათვალისწინებული და იგი მეტად მძაფრ, დრამატულ სპორტულ ბრძოლაში წარიმართა. საკმარისია ითქვას, რომ შეხვედრაში გადამწყვეტ, მეხუთე ჩხვლეტამდე ოთხჯერ იქნა ფიქსირებული საყაიმო ანგარიში. მეტოქეები მორიგეობით გადიოდნენ წინ და საბოლოოდ გოგელიამ გაათანაბრა შანსები — 4:4. გადამწყვეტი დარტყმა ადეიშვილის ხმალმა მოახდინა და გამარჯვებაც მას დარჩა.

მაგრამ იმის გამო, რომ მას ადრე წაგებული ჰქონდა შეხვედრა ჩუბინიძესთან, ხოლო გოგელიამ ამ შეხვედრის გარდა დაუმარცხებლად განვლო ფინალი, სპორტსმენებს აღმოაჩნდათ მოგებათა თანაბარი რაოდენობა და საჭირო გახდა მათ შორის ხელახალი ბრძოლის ჩატარება.

ამჯერად გამარჯვება ა. გოგელიამ მოიპოვა (5:2) და პირველი ადგილიც მას დარჩა. მესამე პრიზიორი გახდა მ. მჭედლიძე.

გუნდურ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 7 კოლექტივი — სპი, უნივერსიტეტი, ფიზკულტურის ინსტიტუტი, სამედიცინო ინსტიტუტი, თბილისის, ქუთაისისა და ცხინვალის პედინსტიტუტები. გაიმარჯვეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოფარიკავეებმა.



ცურვაში მსაჯობა უკანასკნელ ხანს ყოველთვის როდი იყო სათანადო სიმაღლეზე, რის შესახებაც არაერთხელ დაიწერა პრესაში. ამჯერად სასიამოვნო გამონაკლისს ჰქონდა ადგილი. მსაჯთა კოლეგიამ (მთავარი მსაჯი ს. კალანდაძე) და საზაფხულო აუზის დირექციამ (დირექტორი ვ. რურუა), ყველაფერი გააკეთეს ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის. ვისურვებდით ყველა შეჯიბრება, რა მასშტაბისაც უნდა იყოს იგი, ასევე ორგანიზებულად ტარდებოდეს.

კარგ ღონისძიებას ჩრდილი მიაყენა მონაწილეთა არასათანადო მაჩვენებლებმა. სტუდენტ-მოცურავეთა შორის ბევრია რესპუბლიკური ნაკრების წევრი, მაგრამ პირველ დღეს მათ გაჭირვებით აჩვენეს საშუალო შედეგები. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ლ. ბერძენიშვილი პერსპექტიული სპორტსმენია, რომელსაც თავის დროზე არაერთი რესპუბლიკური რეკორდი გაუუმჯობესებია გოგონათა შორის. უკანასკნელ ორ წელიწადს იგი არარეგულარულად ვარჯიშობს. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მისი შედეგი (1.13,3) სპორტსმენის სასარგებლოდ ბევრს არაფერს ლაპარაკობს.

იგივე შეიძლება ითქვას რესპუბლიკაში ცნობილი სპორტსმენების, სპორტის ოსტატ ლ. გნოლიძის, აგრეთვე ა. კონდრინასა და ზ. ბაბენკოს შესახებ. ცხადია, იმ მაჩვენებლებით, რასაც სპორტსმენებმა მიაღწიეს, ძნელია საკავშირო თამაშებში წარმატების მოპოვება.

ტექნიკური შედეგები: ქალები. 400 მ თავისუფალი სტილით ცურვა ლ. ბერძენიშვილი — 6.07,8, 100 მ ბრასით ცურვა — ლ. გნოლიძე (სამედიცინო ინსტიტუტი) — 1.34,7, ზურგზე ცურვა — ა. კონდრინა (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) — 1.28,6, ბატერფლაით ცურვა — ა. ტრიშინა (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 1.32,6, კომბინირებული ამანათცურვა 4×100 მ (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 5.58,3. ვაჟები. 100 და 200 მ თავისუფალი სტილით ცურვა — ვ. როზე 1.00,7 და 2.22.0 შესაბამისად, 100 და 200 მ ბრასით — ვ. ჟუკოვი (ორივენი — ფიზკულტურის ინსტიტუტიდან) — 1.15,7 და 2.48,8 შესაბამისად, ზურგზე — ე. ხიმჩიანი (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) — 1.10,2, 100 მ ბატერფლაით ცურვა — ვ. ლეჟავა (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 1.13,4, 400 მ თავისუფალი სტილითა და კომპლექსური ცურვა — ა. სკოტარენკო (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 5.17,7 და 6.05,6 შესაბამისად, კომბინირებული ამანათცურვა 4×100 მ (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 4.45,9.



მაგიდის ჩოგბურთი. ამ სახეობაში შეჯიბრების ორგანიზაციას იოტისოდენა წუნს ვერ დასდებ. აქ ყველაფერი ზუსტად, გრაფიკით და დროზე იწყება. შეჯიბრებაში 13 უმაღლესი სასწავლებელი მონაწილეობს, ხოლო თვითეულ გუნდში 3 ვაჟი და 2 ქალი შედის. შეხვედრები ტარდება ოლიმპიური სისტემით და ყველა დაკავებული ადგილის გარკვევით. საქმე იმაშია, რომ მხოლოდ ერთი, პირველ ადგილზე გასული გუნდი მიიღებს საკავშირო თამაშების ფინალში მონაწილეობის უფლებას და ალბათ ამიტომ ბრძოლამ გუნდებს შორის თავიდანვე დაძაბული ხასიათი მიიღო.

მერვედფინალური თამაშებიდან თავისუფალი იყო 3 გუნდი (სპი, სამედიცინო ინსტიტუტი და თსუ).

ქვემოდ მოგვყავს მერვედფინალური მატჩების ტექნიკური შედეგები: სოხუმის სუბტროპიკული და თელავის პედაგოგიური ინსტიტუტები — 9:3, ბათუმისა და ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტები — 9:6 (აღსანიშნავია, რომ ბათუმის კოლექტივში თამაშობს ჩვენი ქვეყნის მეხუთე ჩოგბურთელი ს. პარფინიდი), თბილისისა და გორის პედაგოგიური ინსტიტუტები — 9:5, ქუთაისის პედაგოგიური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები — 9:7, უცხო ენათა ინსტიტუტი და კონსერვატორია — 9:1.

შედგა აგრეთვე მეოთხედფინალური მატჩები. სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივმა შედარებით იოლად სძლია სამედიცინო ინსტიტუტის გუნდს — 9:3 და გავიდა ნახევარფინალში. აქ უნივერსიტეტელთა თანამეწყვილეა უცხო ენათა ინსტიტუტის კოლექტივი, რომელმაც დაამარცხა თბილისის პედინსტიტუტის სპორტსმენები — 9:1.

მეორე ნახევარფინალური წყვილია — სპი და ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. პირველმა მეოთხედფინალში მშრალი ანგარიშით (9:0) მოუგო ქუთაისის პედინსტიტუტის გუნდს, ხოლო მეორემ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის კოლექტივი — 9:7.

დღეს შედგება ნახევარფინალური შეხვედრები.



ჩოგბურთი. ამ ტურნირს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ თბილისის სტუდენტთა პირველობა — ასპარეზობაში მხოლოდ დედაქალაქის ხუთი უმაღლესი სასწავლებლის (უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, სამედიცინო, პედაგოგიური და ფიზკულტურის ინსტიტუტების) გუნდები მონაწილეობენ. ეს იმაზე მეტყველებს, რომ რაიონებში ჩოგბურთის გავითარების საქმე ცუდადაა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შეჯიბრებას თავი აარიდა უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივმა.

გუნდურ პირველობაში ჯერ ერთმანეთს შეხვდნენ ფიზკულტურისა და სამედიცინო ინსტიტუტების გუნდები. ანგარიში 8:1 თავისთავად მეტყველებს მომავალი ექიმების სუსტ მომზადებაზე. ერთადერთი ქულა მათ შეძინა... ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ნ. ჟუჩკოვამ, რომელიც არ გამოცხადდა შეჯიბრებაზე.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა მშრალი ანგარიშით (5:0) დაამარცხა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივი. საინტერესოდ წარიმართა [illegible] უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდების შეხვედრა. სრულიად მოულოდნელად უნივერსიტეტის წარმომადგენლები ზ. ღოღობერიძე და ზ. სოლოდოვნიკოვა დამარცხდნენ ი. ზარჩილავასა და ნ. ჟუჩკოვასთან. უნივერსიტეტის ვაჟთა წყვილმა (მძინარიშვილი—გოგლიძე) კერესელიძე—ჟორდანიას წყვილთან მოგებით (6:1, 3:6, 6:1) აღადგინა წონასწორობა. დანარჩენი შეხვედრები უნივერსიტეტის სპორტსმენებმა მაღალ დონეზე ჩაატარეს და გაიმარჯვეს საერთო ანგარიშით 6:3.

დღეს გუნდური პირველობის ფინალია.

**გაზეთ „ლელოს" ბრიგადა.**





სურათებზე: მარცხნივ — ვაჟთა შორის ბირთვის კვრაში გამარჯვებული მ. ოურომიძე (უნივერსიტეტი). ქვევით — 110 მ თარჯრბენის მონაწილენი წინაღობის დაძლევის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ბადმინტონი — სპორტი ყველასათვის

ქალაქში გამოკრული აფიშები მოუწოდებდნენ მსურველებს მონაწილეობა მიეღოთ თბილისის ღია პირველობაზე ბადმინტონში, რომელიც ამ დღეებში გაიმართა ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში.

მართალია, მსურველთა რიცხვი არც თუ ისე დიდი აღმოჩნდა, სულ რაღაც 32 კაცი, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ სპორტის ამ სახეობას ჯერ ფართოდ არ გაუდგამს ფესვი ჩვენს რესპუბლიკაში. ბადმინტონი რომ ყველასათვის ხელმისაწვდომი სპორტია, მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მოსწავლეებთან და სტუდენტებთან ერთად ჩემპიონატში მონაწილეობდნენ მათი აღმზრდელებიც — მეცნიერებათა კანდიდატები და, ასე წარმოიდგინეთ — ერთი დოქტორიც კი.

4 ჯგუფად დაყოფილი მონაწილენი ერთმანეთს ეცილებოდნენ თბილისის პირველი ჩემპიონის წოდებას. აქ საჭიროა მცირე კორექტივის შეტანა. მსგავსი პირველობა 1962 წლის დეკემბერში ჩატარდა, მაგრამ შეიძლება ითქვას, საზოგადოებრივ საწყისებზე, ვინაიდან მაშინ ბადმინტონის ფედერაცია არ არსებობდა. ახლა ეს ხარვეზი შევსებულია და ფედერაციამ თავისი არსებობის პირველივე დღეებიდან დიდი ყურადღება დაუთმო სპორტის ამ ახალი სახეობის ფართო პროპაგანდას მოსახლეობაში.

ისევე, როგორც 2 წლის წინ, ჩემპიონატში გამარჯვება მოიპოვა თბილისის მე-80 საშუალო სკოლის მოსწავლემ ვ. ავდეევმა, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო. მომდევნო 3 ადგილი შესაბამისად დაიკავეს ან. დავიდოვმა, ლ. ტალიზმა და რ. მოინოვმა.

ფინალურ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე 1-ლი მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლემ ო. ქღენტმა, საქართველოს ბადმინტონის ფედერაციის თავმჯდომარემ გ. სამსონაძემ, მე-80 საშუალო სკოლის მოსწავლემ ალ. დავიდოვმა და ცენტრალური მუსიკალური სკოლის მოსწავლემ ბ. ახობაძემ.

ვ. ბიბაური



ახალი წიგნები

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა და ბაზარზე იყიდება შემდეგი სპორტული წიგნები:

**გ. გამრეკელი. „ჩემპიონები და პრეტენდენტები".**

პოპულარულ ნარკვევში აღწერილია სირთული და სილამაზე საჭადრაკო კომბინაციებისა, რომლებსაც იყენებდნენ ჭადრაკის გამოჩენილი ოსტატები. ავტორი მოგვითხრობს პრეტენდენტთა ბრძოლაზე საჭადრაკო გვირგვინისათვის.

წიგნის ტირაჟი — 15.000 ცალი, ფასი 18 კაპ.

**ს. ილინი, ლ. იოაკიმიდი. „მოცურავის სპეციალური სავარჯიშოები ამორტიზატორებზე".**

ეს სახელმძღვანელო თარგმნილია რუსულიდან და ეძღვნება სპორტული ცურვის მთელ კომპლექსს. ბროშურა განკუთვნილია ცურვის ოსტატებისთვის, გამოცემულია 1.000-ანი ტირაჟით და ღირს 6 კაპ.



## სამიზნეები „მშვიდობიანად" მიფრინავდნენ...

თბილისელ მესტენდურეთა საქალაქო პირად-გუნდური პირველობის ცეცხლის ხაზზე 40-მა სპორტსმენმა მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ 22 ოსტატი და 8 პირველთანრიგოსანი. მაგრამ მონაწილეთა მიერ პირველ დღეს (თამაშდებოდა გუნდური პირველობა) იმდენად დაბალი შედეგები იყო ნაჩვენები, რომ ისინი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებენ. ადგილიდან სროლაში (100 სამიზნეზე) ვერავინ შეწვდა ოსტატობის ზღვარს (95 ქულა). მხოლოდ ხუთმა მსროლელმა აჩვენა პირველი თანრიგის შედეგი, რაც პირად პირველობაზე ბრძოლის გაგრძელების უფლებას იძლეოდა. ფინალისტებიდან სამი — მონკავშირის I გუნდის (ზ. მაჩხანელი, ი. საგანელიძე — 89 ქულა თვითეულმა, ა. ხახანაშვილი — 85 ქულა) და ორი — „ლოკომოტივის" (მ. კუროჩკინი — 87 ქულა, ვ. ალავერდოვი — 86 ქულა) წარმომადგენლები იყვნენ.

უვნებლად მიფრინავდა არმიელი ოსტატების ვ. კონდრაცკის, ვ. ლავრინენკოს, ვ. პონომარიოვის, ო. ნუკრაძის, მონკავშირის II გუნდის წევრების გ. თოთიბაძისა და დ. ცაგარეიშვილის სამიზნეების მნიშვნელოვანი ნაწილი.

საამაყო არაფერი აქვთ მრგვალ სტენდზე მსროლელებსაც. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ არმიელი ბ. ანტონოვი. მან ერთადერთმა აჩვენა ოსტატის ნორმაზე უკეთესი შედეგი — 96 ქულა. მის გარდა ფინალში გავიდნენ მისივე თანაგუნდელი ლ. სიმონიანი (92 ქულით) და მონკავშირის I გუნდის წევრები ტ. ქლენტი (91) და ქ. კლდიაშვილი (87). არმიელ ოსტატებს ვ. ლოგინოვსა და გ. რატიმოვს 100-დან შესაბამისად 24 და 25 სამიზნე გაუფრინდათ უვნებლად.

უარესი შედეგები იყო მეორე დღეს, როცა უნდა გამოვლინებულიყო ქალაქის ჩემპიონები პირად ჩათვლაში. მონაწილეთა სუსტ მომზადებას „მხარი აუბა" ძლიერმა ქარმაც. ამ დღეს ადგილიდან სროლის ლიდერმა ზ. მაჩხანელმა 100-დან 67 სამიზნე დაამსხვრია, ი. საგანელიძემ — 66, ა. ხახანაშვილმა — 60. საბოლოოდ, ორი დღის ჯამში საპრიზო ადგილებიც ამავე თანმიმდევრობით განაწილდა.

მრგვალ სტენდზე სროლაში თბილისის ჩემპიონი გახდა ბ. ანტონოვი (ორი დღის ჯამში 187 ქულა). 172 ქულით მეორე იყო ლ. სიმონიანი, მესამე — ქ. კლდიაშვილი (169).

ჩვენი დედაქალაქის მესტენდურეთა დაბალი მაჩვენებლები აშკარად მეტყველებენ, რომ ისინი სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საწვრთნელ ვარჯიშს. პირველ დღეს ცეცხლის ხაზზე გამოსული 22 ოსტატიდან მხოლოდ ერთი ოსტატის შედეგის ჩვენება სამარცხვინო ფაქტია!

ო. გელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კიდევ ერთხელ ველოტრეკის შესახებ

არაერთხელ თქმულა და დაწერილა, რომ თბილისის ტრეკი თანამედროვე ველოსპორტის გაზრდილ მოთხოვნებს ვერ პასუხობს. ამგვარი პრეტენზია ადრე უფრო თეორიულ ხასიათს ატარებდა, დღეს კი ტრეკის უვარგისობა უკვე პრაქტიკამ დაგვანახა, და თითქოს განგებ, საქალაქო პირველობა სწორედ ამ სიტყვების დასაბუთებას წარმოადგენდა.

ქალაქის უძლიერეს ველომრბოლთა შეჯიბრებამ, რომელიც ფაქტიურად რესპუბლიკურიც იყო (ჩვენს დედაქალაქში ყველა წამყვანი სპორტსმენია თავმოყრილი), მხოლოდ ოთხი გუნდი შეკრიბა — ორი სრული („დინამო" და „ბურევესტნიკი") და ორიც არასრული („სპარტაკი" და „შრომითი რეზერვები"). მონაწილეთა სიმცირე თითქოს შეჯიბრების ნორმალურად ჩატარების გარანტია უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოხდა პირიქით. ბრძოლის მსვლელობაში ხშირი იყო ელემენტარული წესების დარღვევა, რაშიც პირველ რიგში, ბრალი ტრეკის შეუსაბამო გაბარიტებს მიუძღვის.

მივმართოთ ფაქტებს. სპრინტერულ რბოლაში გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის ჩემპიონმა ო. ფხაკაძემ. გასაკვირი აქ თითქოს არაფერია, მაგრამ ჩემპიონს სულ ბოლოს შეეძლო პირველი ადგილის დაკარგვა, რადგან...

ეს მოხდა სერიაში, რომელშიც მონაწილეობდნენ დინამოელი ფხაკაძე და უდავოდ ნიჭიერი სპორტსმენი ვ. ეგანოვი („სპარტკი"). ამ უკანასკნელის სწრაფვა და მონდომება სავსებით გასაგები იყო. ყველას სურს ჩემპიონთან ბრძოლაში თავის გამოჩენა და აი, ბრძოლის აზარტში, ეგანოვმა ბარიერთან მიიმწყვდია ფხაკაძე. მდგომარეობიდან გამოსვლის ორი გზა დარჩა: ან გზის დათმობა, ან ავარია. ფხაკაძემ პირველი არჩია და სერია ეგანოვმა მოიგო.

ნორმალურ ტრეკზე ეს ინციდენტი შეუმჩნეველი დარჩებოდა, რადგან ბეტონის ივალის სიფართე, ფხაკაძეს გვერდის ავლის საშუალებას მისცემდა. ჩვენს ტრეკზე კი...

მაგრამ ყველაფერს ტრეკს ვერ დავაბრალებთ. ეგანოვს წესის კიდევ ორი დარღვევა ჰქონდა, რის გამოც ბოლოსდაბოლოს შეჯიბრებიდან მოიხსნა.

კიდევ ერთი მაგალითი. გასულ წელს ველოსპორტის ფედერაციამ გადაწყვიტა თბილისის ტრეკზე არ ჩაატაროს სალიდერო რბოლა, რადგან მისი საშუალო სისწრაფე ველოტრეკის შესაძლებლობას აღემატება. ბუნებრივია, ამ გადაწყვეტილებამ სპორტსმენთა ერთ ჯგუფს სალიდერო რბოლაზე გული აუყარა და აი, მოულოდნელად, ქალაქის ჩემპიონატის ორგანიზატორებმა სალიდერო რბოლა შეჯიბრების პროგრამაში შეიტანეს. მაგრამ პირველობა არ გათამაშდა, რადგან სტარტზე მხოლოდ „დინამოს" წარმომადგენელი ო. პროკოპენკო (ლიდერი ი. კავსაძე) გამოვიდა.

პირველობის ტექნიკური შედეგები ასეთია. **გუნდური ჩათვლა.** 1. „დინამო", 2. „ბურევესტნიკი". **პირადი ჩათვლა.** ვაჟთა სპრინტი — 1. ო. ფხაკაძე („დინამო"). ქალთა სპრინტი — 1. ლ. სტაშევსკაია („დინამო").

გიტი 500 მ ადგილიდან. 1. ვ. ეგანოვი („სპარტაკი") — 35,8. ქალთა გიტი — 1. კ. კალინინა („დინამო").

ინდივიდუალური რბოლა 4 კმ ვაჟთა შორის: 1. ზ. ვაშაკიძე („სპარტაკი") — 5.24,0, ქალთა შორის: 1. ლ. სტაშევსკაია („დინამო").

გუნდური რბოლა 4 კმ ვაჟები— 1. „დინამო" — 5.05,0.

ჯგუფური რბოლა 60 წრეზე — 1. ზ. ვაშაკიძე („სპარტაკი"). წყვილთა რბოლა 100 წრეზე — ჯ. ზანდუკელი — ვ. ფედოროვი („დინამო").

**ნ. გუგუშვილი**



დანიის ფეხბურთის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი მატჩი კოპენჰაგენში ევროპისა და სკანდინავიის ნაკრებ გუნდებს შორის. სურათზე: ინგლისელი ფორვარდი რ. ჩარლტონი ურტყამს სკანდინაველთა კარში. მისგან მარცხნივ ო. მადსენი, მარჯვნივ — ე. ნანსენი.

ფოტო საკდესისა.

## ჩოხატაური

აქ დაიწყო რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადა. უკვე დამთავრდა შეჯიბრება ხელბურთში 8-წლიან სკოლებს შორის, სადაც პირველი ადგილი არავის დაუთმეს სოფელ ქვენობნის ნორჩმა ფიზკულტურელებმა. საშუალო სკოლებს შორის პირველ ადგილებზე გამოვიდნენ ჩოხატაურის I სკოლის ჭაბუკთა კოლექტივი და სოფელ ერკეთის გოგონათა გუნდი.

მძლეოსნობაში საშუალო სკოლებს შორის გაიმარჯვეს ხიდისთაველებმა, ხოლო რვაწლიანი სკოლებიდან — გოგოლესუბნელებმა.

50-მა მოსწავლემ სათანრიგო ნორმატივი შეასრულა.

მიმდინარეობს შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთსა და სპორტულ ტანვარჯიშში. სპარტაკიადას რატომღაც თავი აარიდეს ზოტის, შუასურების საშუალო და იანეულის, დიდი ვანის, ზემოხეთის, ზემოსურებისა და ნაბეღლავის 8-წლიანმა სკოლებმა.

**ი. კალანდაძე**

## ქუთაისი

ქუთაისის მინის ტარის ქარხანაში ჩატარდა შეჯიბრებები ჭადრაკში, შაშსა და მაგიდის ჩოგბურთში.

ჭადრაკში გაიმარჯვა მექანიკური საამქროს უფროსმა ოსტატმა, ინჟინერმა ლ. ჭუმბურიძემ, შაშში — მწრთობელ-მჭედელმა ა. ბერაძემ, ხოლო მაგიდის ჩოგბურთში — ბროლის საამქროს გრავერმა თ. კუპუხიძემ.

**ი. ბუხაიძე**

## კარგი თაოსნობა

ქართული ჭიდაობის მდიდარი ტრადიციის აღდგენისა და აღმავლობის მიზნით კარგი თაოსნობა გამოიჩინა გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტულმა კლუბმა. აქ გადაწყვიტეს საკუთარი ძალებით, რეგულარულად ჩაატარონ ამხანაგური შეხვედრები მეზობელი რაიონების სპორტსმენებთან, სოფლებში, კოლმეურნეობებში.

ინსტიტუტის სპორტულმა კლუბმა პირველი პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგა — გორში მიიწვია ცხინვალის მოჭიდავეთა ნაკრები. ამხანაგურ შეჯიბრებას მრავალი სპორტის მოყვარული დაესწრო. საინტერესო მატჩში გაიმარჯვეს გორელმა სტუდენტებმა.

რამდენიმე დღის შემდეგ ინიციატორები საპასუხო ვიზიტით ეწვივნენ ცხინვალელ მეგობრებს, ხოლო შემდეგ ამხანაგური შეჯიბრებების ჩასატარებლად გორში მიიწვიეს მცხეთისა და საგარეჯოს მოჭიდავეთა ნაკრები გუნდები. დაგეგმილია თელაველ და ახმეტელ ფალავანთა სტუმრობაც.

**ი. თევდორაშვილი**

გორი.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### გათამაშების ცხრილი

### II ჯგუფი, II ქვეჯგუფი

მდგომარეობა 24 მაისისათვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სკა (ოდესა) | 9 | 7 | 2 | 0 | 15—2 | 16 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 10 | 5 | 3 | 2 | 12—11 | 13 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 9 | 5 | 1 | 3 | 10—7 | 11 |
| „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) | 10 | 4 | 3 | 3 | 9—6 | 11 |
| „შახტიორი" (ყარაგანდა) | 9 | 4 | 2 | 3 | 15—10 | 10 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 9 | 3 | 4 | 2 | 10—7 | 10 |
| „კარპატი" (ლვოვი) | 10 | 4 | 2 | 4 | 12—14 | 10 |
| „არარატი" (ერევანი) | 9 | 3 | 3 | 3 | 7—7 | 9 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 10 | 3 | 3 | 4 | 7—8 | 9 |
| „დინამო" (ტალინი) | 9 | 2 | 4 | 3 | 8—7 | 8 |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 10 | 3 | 2 | 5 | 8—13 | 8 |
| „სპარტაკი" (გომელი) | 9 | 1 | 4 | 4 | 4—8 | 6 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 9 | 2 | 2 | 5 | 7—12 | 6 |
| „ალგა" (ფრუნზე) | 10 | 1 | 3 | 6 | 7—19 | 5 |

## „მეტალურგმა" გაიმარჯვა

რუსთავის „მეტალურგის" ფეხბურთელები 21 მაისს თამაშობდნენ ნალჩიკში, ადგილობრივ „სპარტაკთან". ეს იყო მათი მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე რსფსრ-ს IV ზონაში.

თამაში მოიგო რუსთავის „მეტალურგმა" ანგარიშით 2:1.

# ჩვენი სტუმრები

საბჭოთა კავშირში სტუმრად ჩამოვიდნენ იენის „მოტორის" სპორტსმენები, გასული წლის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონები ფეხბურთში. სტუმრები დღეს ქუთაისში შეხვდებიან ადგილობრივ ტორპედოელებს, 27 მაისს თბილისში ითამაშებენ „დინამოსთან", ხოლო ბოლო შეხვედრას გამართავენ 30 მაისს ლუგანსკის „ზარიასთან".



**ბ. კალი**

**ბ**რიტანეთის ავიოკომპანიის სპეციალურ თვითმფრინავს ბელგრადიდან ლონდონს მიჰყავდა „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც ის-ის იყო, მოიპოვა მორიგი გამარჯვება ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში.

მიუნხენში ინგლისელების გარშემო ტრიალებდნენ რეპორტიორები, რომლებიც ცდილობდნენ რაიმე გამოეძალათ მათგან სალამოს გაზეთებისთვის. მაგრამ აი, აეროდრომზე გაისმა რეპროდუქტორის ხმა: „ლონდონისკენ სპეციალური რეისის მგზავრებს ვთხოვთ დაიკავონ ადგილები". სპორტსმენებმა სიცილითა და მუჩლუგუნებით დაიწყეს ტრაპზე ასვლა.

თვითმფრინავი სტარტზე დადგა. უკანასკნელი სიგნალები. მძიმე მანქანამ აიღო სიჩქარე და ბილიკზე გაექანა. და უცებ... ვერავინ გაიგო, რა მოხდა. ვილაცამ ისტერიულად იყვირა. ვილაცამ სახეზე ხელი აიფარა. სასტარტო ბილიკის ბოლოს, იქ, სადაც არც ერთი თვითმფრინავი არ აღწევს, დადგა შავი ბოლის დიდი ღრუბელი. კიდევ რამდენიმე წუთი და სახანძრო და სანიტარული მანქანები ერთმანეთს უსწრებდნენ, კატასტროფის ადგილისკენ მიქროდნენ. სატელეფონო ჯიხურიდან რეპორტიორმა ჩავარდნილი ხმით ამცნო მსოფლიოს საშინელი ამბავი: „მანჩესტერ იუნაიტედის" გუნდი დაიღუპა საავიაციო კატასტროფის დროს", იდგა 1958 წლის 26 თებერვალი.

მეორე დღეს ევროპის ყველა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილზე მოათავსა ცნობა მიუნხენის კატასტროფის შესახებ. წერდნენ გუნდზე, მის მწვრთნელზე — შოტლანდიელ მატს ბესბიზე, რომელიც მიუნხენის ერთ-ერთ ჰოსპიტალში სიკვდილს ებრძოდა. გაზეთებმა ჩამოთვალეს დაღუპულთა და დასახიჩრებულთა სახელები და არც იმის გახსენება დავიწყებიათ, რომ რაღაც სასწაულით გადარჩა მეკარე გრეგი, რომ პილოტები, რომლებიც აფეთქების ძალამ თვითმფრინავიდან ამოაგდო, მხოლოდ მცირეოდენი ნერვული შერყევის ფასად გადაურჩნენ ხიფათს.

მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოდიოდა სამძიმრის დეპეშები.

მატს ბესბი ჰოსპიტალში იწვა. მის სიცოცხლეს დიდ ხანს არც ერთი ექიმი თავდებად არ ედგა. მაგრამ შოტლანდიელის რკინისებურმა ორგანიზმმა, რომელმაც ინგლისის პროფესიული ფეხბურთის მკაცრი სკოლა გაიარა, სიკვდილზე გაიმარჯვა და მან დაიწყო ლაპარაკი. მას ნება დართეს ხანდახან მიეღო სტუმრები. მხოლოდ ერთ გარემოებას გამოყავდა ბესბი მოთმინებიდან. კატასტროფის დროს დაიკარგა მისი სათვალე, გულმავიწყ მომვლელ ქალს კი ახალი არ მოჰქონდა. რა იცოდა მწვრთნელმა, რომ სათვალე მთავარი ექიმის უჯრაში იდო და იგი შეინახეს მხოლოდ იმისთვის, რომ ავადმყოფისთვის არ მიეცათ გაზეთებში ჩახედვის საშუალება. ექიმები შიშობდნენ, რომ გამოჯანმრთელების გზაზე დამდგარი მწვრთნელი თავისი აღზრდილების დაღუპვის ცნობას ვერ გადაიტანდა.

კითხვა არ შეიძლებოდა და ბესბი ფიქრობდა. ის იგონებდა, თუ როგორ მივიდა ომის დამთავრებისთანავე „მანჩესტერ იუნაიტედში". დაბომბვის გამო სტადიონი დანგრეული იყო. ყველაფერი ახლიდან უნდა დაეწყოთ, კლუბის სალარო კი ცარიელი იყო.

ინგლისური ფეხბურთის კლუბები თავისებური სააქციონერო საზოგადოებებია, რომლებიც ინახავენ გუნდებს, ხოლო მასობრივი შეკრების შედეგად მიღებული სახსრებით აქციონერებს დივიდენდებს უხდიან. კარგი ფეხბურთელის შესაძენად კლუბმა ბლომად უნდა გადაუხადოს ძველ პატრონებს. ხანდახან ეს თანხა საკმაოდ დიდ მოცულობას აღწევს. რა თქმა უნდა, შეიძლება აღზარდო საკუთარი მოთამაშეებიც, მაგრამ ყველა პროფესიული კლუბი ამას გრძელ და საჩოთირო საქმედ თვლის.

ბესბიმ კლუბს სხვა მეთოდი შესთავაზა. მრავალი დღის განმავლობაში იგი და მისი წარმომადგენლები დაეხეტებოდნენ მთელს ინგლისში და ესწრებოდნენ სასკოლო გუნდების მატჩებს. თუ აღმოაჩენდნენ იმედის მომცემ ჭაბუკს, იგი აჰყავდათ საკუთარი მეურვეობის ქვეშ. მას შეეძლო ევარჯიშა „მანჩესტერ იუნაიტედის" გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით. როცა ჭაბუკი წამოიზრდებოდა და დადგებოდა ნამდვილი ფეხბურთელი, მას აძლევდნენ წინადადებას — ხელი მოეწერა კლუბთან კონტრაქტზე. ასე შედგა გუნდი. დამეგობრებული ჭაბუკები, რომლებიც ერთმანეთს ნახევარი სიტყვითაც უგებდნენ, შედუღაბდნენ ისეთ მეგობრულ კოლექტივად, როგორიც შეუძლებელია იყოს სხვადასხვა ადგილზე ნაყიდ პროფესიონალთა გუნდი. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ აღმერთებდნენ ისინი თავიანთ მწვრთნელს.

ზოგიერთმა მათგანმა უკვე მოირგო კიდეც ინგლისის ნაკრების მაისური. მათ თვლიდნენ ერთ-ერთ უძლიერესად, თუ სულ უძლეველ გუნდად არა ევროპაში. დუნკან ედვარდსის შესახებ სპეციალისტები ამბობდნენ, რომ ასეთი ნახევარმცველი ჯერ არ ყოფილა ბრიტანეთის კუნძულებზე.

ახლა კი ეს ოცი წლის სპორტსმენი მეზობელ პალატაში კვდებოდა.

ბესბიმ არაფერი იცოდა ამის შესახებ. არავინ იცის, რამდენ ხანს გასტანდა მისი გაურკვევლობა, რომ შემთხვევით ვიზიტიორს არ წამოცდენოდა მოთამაშეთა დაღუპვის ამბავი...

გადიოდა წლები. კლუბში მოვიდნენ ახალი მოთამაშეები. ახალმა ამბებმა ყველას დაავიწყეს თებერვლის საშინელი დილა. გრეგი კვლავ აცლიდა თავდამსხმელებს ფეხებიდან უიმედო ბურთებს და კვლავ იწვევდა ალტაცებას ტრიბუნებზე. მატს ბესბი კვლავინდებურად ხელმძღვანელობდა გუნდს.

როცა ინგლისელი პროფესიონალი ხელს აწერს კონტრაქტს, ის კისრულობს ვალდებულებას ითამაშოს კლუბში ოცდათხუთმეტ წლამდე. თუ იგი დატოვებს თავის გუნდს, ძველი პატრონები იღებენ ე. წ. „ტრანსფერულ ღირებულებას". ასეთი ლამაზი სიტყვის მიღმა ძველ, კეთილ ინგლისში ადამიანებით ნამდვილი ვაჭრობა იმალება.

კლუბის დირექცია ყოველწლიურად იგონებს რთულ კომბინაციებს: ვინ იყიდოს და ვინ გაყიდოს ისე, რომ მოიგოს კიდეც და ძლიერი გუნდიც შეინარჩუნოს, რომელსაც შეეძლება მოგება და ათასობით მაყურებლის მოზიდვა.

(დასასრული მე-4 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დასკვნითი ტურის წინ

სოხუმი, 23 მაისი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). დღეს გორკის სახელობის კლუბში გათამაშდა ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის უკანასკნელი ტურის წინ გადადებული პარტიები. დასამთავრებელი იყო სულ ექვსი პარტია.

ბრძოლა არ განახლებულა მხოლოდ ნედელკოვიჩ — ბუცხრიკიძის შეხვედრაში. სხვადასხვა ფერის კუ მხარეებს არ აძლევდა თუნდაც ოდნავ პერსპექტიული თამაშის საშუალებას. ამიტომ მეტოქენი თამაშის განუახლებლად შეთანხმდნენ ყაიმზე.

მსოფლიო ექს-ჩემპიონ ბიკოვას დასამთავრებელი ჰქონდა პარტია კელერ-გერმანთან (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). გერმანელ მოჭადრაკეს ზედმეტი პაიკი ჰქონდა, მაგრამ მისმა მოწინააღმდეგემ ენდშპილში შეძლო მეფითა და მხედრით მიუვალი პოზიციის აგება და 58-ე სვლაზე კელერ-გერმანი იძულებული გახდა ყაიმზე დათანხმებულიყო.

ორ პარტიას ამთავრებდა მოსკოველი ბელავენეცი. უნგრელ კარაკაშთან ეტლების ენდშპილში მას ბრძოლა მოუხდა ძლიერ გამსვლელ პაიკთან. ეს ამოცანა მან ვერ გადაწყვიტა. როდესაც კარაკაშის პაიკმა მე-7 ჰორიზონტალს მიაღწია და მზად იყო ლაზიერში გასვლისათვის, ბელავენეცმა თავი დამარცხებულად ცნო.

სამაგიეროდ, კარგი შანსები ჰქონდა ბელავენეცს ბიკოვას წინააღმდეგ. მანევრულმა ბრძოლამ ენდშპილში შეუპოვარი ხასიათი მიიღო. მას შემდეგ, რაც ბელავენეცმა მოახერხა ჯერ ლაზიერების გაცვლა, ხოლო შემდეგ პაიკის მოგება, ბიკოვას პოზიციამ აშკარად უიმედო სახე მიიღო, თუმცა იგი კვლავ განაგრძობდა წინააღმდეგობას. ბიკოვამ მხოლოდ 58-ე სვლაზე გადაწყვიტა ფარ-ხმალის დაყრა.

### გადადებული პარტიების დამთავრება

საინტერესოდ მიმდინარეობდა ალექსანდრია — ასენოვას პარტიის დასკვნითი ეტაპი. ალექსანდრიამ პოზიციაში, სადაც მას ოდნავი უპირატესობა ჰქონდა, მოძებნა მოწინააღმდეგის სუსტი პაიკი და სწორედ ეს პუნქტი აირჩია საიერიშოდ. შეუპოვარი დაცვის მიუხედავად, ასენოვამ დათმო პაიკი. თამაში გადავიდა ეტლების ენდშპილში. ბულგარეთის ჩემპიონმა ახალი მატერიალური დანაკლისი განიცადა და უიმედო პოზიციაში 77-ე სვლაზე გამარჯვება მიულოცა ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეს.

ასენოვამ მეორე წარუმატებლობა განიცადა საბჭოთა კავშირის ჩემპიონ რანიკუსთან შეხვედრაშიც. რანიკუს ლაზიერი და პაიკების მყარი პოზიცია უფრო ძლიერი აღმოჩნდა ასენოვას ორი ეტლის წინააღმდეგ.

ამრიგად, ბოლო ტურის წინ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: გაფრინდაშვილს აქვს 9,5 ქულა, ჩაიკოვსკაიას — 6,5, რანიკუს — 6, ნედელკოვიჩს, კელერ-გერმანსა და კარაკაშს — 5-5 თვითეულს, ალექსანდრიას, ბუცხრიკიძესა და ბელავენეცს — 4,5-4,5 თვითეულს, ტეოდორესკუს — 4, ასენოვას — 3,5, ბიკოვას — 2 ქულა.

ხვალ უკანასკნელი, XI ტურია.

ტურნირის საზეიმო დახურვა მოეწყობა 25 მაისს.

თ. ბიღრბაძე

* * *



სურათზე: იუგოსლაველი ნედელკოვიჩი (მარჯვნივ) და კარაკაში (უნგრეთი) თამაშის დროს. მაგიდასთან დგას ტურნირის მსაჯი ლ. წეროძე.

ფოტო ე. ჰოხონელიძისა.



„მომენტი" უნივერსიტეტის სტუდენტთა ამანათრბენიდან. საკმაოდ „დაძაბული" მომენტი, ოღონდ არა სპორტული თვალსაზრისით... და არც მაინცდამაინც სასიქადულო.

თუმცა, ჩამორჩენილ სპორტსმენ გოგონას შეიძლება გავუგოთ დამორცხვება (და ნურც მის ვინაობას გავხსნით)... მაგრამ რად ასხამს ცეცხლზე ნავთს ეს ახალგაზრდა?! ეს ხომ რაინდული მოქმედება არ არის?! მით უმეტეს, ქალიშვილის მიმართ...

ფოტო ს. მამასახლისისა.

## საზღვარგარეთის ამბები

### კანადელები ამზადებენ ნაკრებს

1965 წლის ჰოკეისტთა მსოფლიო პირველობაზე, რომელიც ფინეთში გაიმართება, კანადიდან მონაწილეობას მიიღებს ნაკრები. იგი დაკომპლექტდება კლუბ „ვინიპეგ მარუნსისა" და ინსბრუკში მონაწილე ოლიმპიური გუნდის წევრებით. ეს გადაწყვეტილება ამ დღეებში მიიღო კანადის ჰოკეის მოყვარულთა ასოციაციის მორიგმა კრებამ.

გადაწყდა აგრეთვე, რომ „შემდეგში მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებში კანადელები გამოვიდნენ მხოლოდ ნაკრები გუნდებით, რადგან წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ამ ქვეყნის სპორტსმენები იოლ გამარჯვებას აღწევდნენ ჰოკეისტთა ცალკეული კლუბებით".

ღიად დარჩა მხოლოდ ნაკრები გუნდის მწვრთნელის საკითხი. პ. ბაუერმა განაცხადა, რომ მას საშუალება არა აქვს მთელი თავისი დრო ნაკრების წევრთა წვრთნას მოახმაროს, სამაგიეროდ, დათანხმდა ყოველ სეზონში ჰოკეისტები ორი თვე ავარჯიშოს.

### ტიტულის დასაცავად

ბრაზილიელი ფეხბურთელები ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დასაცავად ლონდონში. ამ მიზნით ისინი 1965 წელს ევროპაში დიდ საგასტროლო ტურნეს ჩაატარებენ. უკვე მიღწეულია შეთანხმება ინგლისის, უელსის, დანიის, შვეციის, ლუქსემბურგისა და სხვა გუნდებთან შეხვედრების შესახებ.

ამავე, 1965 წელს მოეწყობა დიდი საერთაშორისო ტურნირი რიო-დე-ჟანეიროს თასზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ბრაზილიის, არგენტინის, ურუგვაის, ესპანეთის, პორტუგალიის, უნგრეთისა და იტალიის გუნდები.

## სხვადასხვა კონტინენტზე

**მადრიდი.** აქ დამთავრდა ესპანეთის ტრადიციული ველორბოლა — „ვუელტა". 17 ეტაპის ჯამში პირველი ადგილი პოპულარულმა ფრანგმა ველოსიპედისტმა რ. პულიდორმა მოიპოვა.

**ლოს-ანჟელოსი.** მძლეოსანთა შეჯიბრებაზე ვილანოვის უნივერსიტეტის გუნდმა ამანათრბენში 4×880 იარდზე ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 7.19,0.

**ჟენევა.** შვეიცარიის ქალაქ ლუგანოში ადგილობრივი მძლეოსნები იტალიელ სპორტსმენებს შეხვდნენ. პროგრამაში მხოლოდ სპორტული სიარული იყო. პირველი ადგილი იტალიელმა ა. პანიჩმა დაიკავა, რომელმაც 20 კილომეტრი 1 საათსა და 35 წუთში დაფარა.

**ნიუ-იორკი.** მსოფლიო ჩემპიონი კრივში კასიუს კლეი ნიუ-იორკიდან აკრას გაფრინდა. მას განზრახული აქვს აფრიკაში 8-კვირიანი ტურნეს ჩატარება.

**იაპონიის** პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ გადაწყვიტა „ოლიმპიადისშემდგომი" თამაშების მოწყობა. ვარაუდობენ, რომ ამ ორიგინალურ ღონისძიებაში (ჩატარდება მიმდინარე წლის 2-3 ნოემბერს) გამოვლენ ტოკიოს ოლიმპიადის მონაწილენი.

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

## სპორტის სასახლე

**24 მაისი.** სსრ კავშირის პირადი პირველობის შერჩევითი შეჯიბრება კრივში.

დასაწყისი 12 საათზე.

**25 მაისი.** გაიმართება დიდი კონცერტი, მიძღვნილი სტუდენტთა III საზაფხულო რესპუბლიკური თამაშებისადმი. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალის ლაურეატები.

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

**26 მაისიდან 1 ივნისამდე** გაიმართება საბჭოთა კავშირის პირველობის დასკვნითი ტურის შეხვედრები „ა" კლასის კალათბურთელ ქალთა გუნდებს შორის. მონაწილეობენ: ტტტ (რიგა), სკა (ლენინგრადი), „ტექსტილმაში" (ტაშკენტი), „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი), უსკ (ტარტუ), „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი), „პოლიტექნიკი" (თბილისი), „სიბირიაჩკა" (ნოვოსიბირსკი), „პოლიტექნიკი" (კაუნასი), „ურალმაში" (სვერდლოვსკი), „დინამო" (კიევი), „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი).

დასაწყისი 13 საათზე.

## სისხლის ფასი

(დასასრული)

არავინ იცის, ვის მოუვიდა თავში ასეთი აზრი, ვინ თქვა პირველად ფრაზა: „დუნკან ედვარსი რომ ცოცხალი იყოს, ლონდონის „ტოტენჰემი" მასში 300 ათას ფუნტზე ნაკლებს არ მოგვცემდა". განსვენებულ ნახევარმცველს კარგა ხანია არ იგონებდნენ, ახლა კი მისი სახელი კვლავ ახსენეს. არავინ იცის აგრეთვე, თუ ვინ დაწერა პირველად სასარჩელო განცხადება. ასე იყო თუ ისე, რამდენიმე დღის შემდეგ დიდი ბრიტანეთის ყველა გაზეთმა დაბეჭდა სენსაციური ცნობა: „მანჩესტერ იუნაიტედმა" უჩივლა ბრიტანეთის ავიოკომპანიას და მისგან თხოულობს მიუნჰენში დაღუპული ფეხბურთელების საკომპენსაციო თანხას.

მკითხველები საგონებელში ჩავარდნენ. როგორ?! „მანჩესტერ იუნაიტედმა" კატასტროფის შემდეგ აკი მიიღო დაზღვევის პრემია? დაზღვევა ხომ სავალდებულოა ყოველგვარი ფრენის დროს?!

— არა, — პასუხობდნენ საქმის კურსში მყოფნი, — საფეხბურთო კლუბს დაზღვევის პრემია არ სურს. საჭიროა მოთამაშეთა საბაზრო ფასის კომპენსაცია. წარმოიდგინეთ, რა ფული შეიძლება გაკეთებულიყო ასეთი გუნდის გაყიდვით!

სასამართლო ინგლისში უბრალო საქმე როდია. რთული, ხანდახან თვით შუასაუკუნეების დროინდელი პრეცედენტებით დასაბუთებული კანონები ადვოკატებს ეშმაკურ კომბინაციებში დახელოვნების საშუალებას აძლევს. ხდება ისეც, რომ რთული საქმეები სხვადასხვა ინსტანციაში გრძელდება წლობით, ზოგჯერ ათეული წლებითაც კი.

იურისტები აღტაცებაში იყვნენ. ასეთი საქმე დიდი ჰონორარის მიღების იმედს იძლეოდა. მცირე წარმატების შემთხვევაში კი შეიძლებოდა მისი გაგრძელება უსასრულობამდე. ინგლისში ხომ ადვოკატთა მთელი ოჯახები არიან, რომლებიც ერთადერთი წარმოებული საქმით გამდიდრდნენ და მისი ისე გაგრძელება მოახერხეს, რომ შვილი მემკვიდრეობდა მამას, ხოლო უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო განაჩენი ღრმად მოხუცმა შვილიშვილმა მოისმინა.

თუმცა გაისმა ისეთი ხმებიც, რომლებიც ადამიანებს მოაგონებდა, რომ დაღუპულთა სისხლით ვაჭრობა არამზადობაა. თანაც ყველამ იცოდა, რომ დაღუპული გუნდის შეძენა „მანჩესტერ იუნაიტედს" ერთი შილინგიც არ დაჯდომია.

როცა ბესბიმ გაიგო სარჩელის შესახებ, მან მხოლოდ ხელი ჩაიქნია. ბებერმა შოტლანდიელმა ძალიან კარგად იცოდა პატრონების თვისებები. მან ისიც იცოდა, რომ სადაც საქმე ნაღდ ფულს ეხება, იქ მორალურ მოსაზრებებს მნიშვნელობა არ აქვს. არავის მოუსმენია, თუ რა თქვა თავისთვის ძველმა მწვრთნელმა (ამბობენ შოტლანდიაში გვარიანად იგინებიანო). საფეხბურთო სამყარო პროტესტს არ აცხადებდა.

იურიდიულმა მანქანამ მოქმედება დაიწყო. საფეხბურთო კლუბების მესვეურები ახალ ნიძლავებს დებდნენ. ახლა ისინი თავიანთ ფულებს ფეხბურთის მატჩის შედეგზე კი არა დებდნენ, არამედ იმაზე, გამოძალავდა თუ არა „მანჩესტერ იუნაიტედი" სადავო ფულს.

ბოლოსდაბოლოს გაზეთებში გამოცხადდა პროცესის დღეც. გამოცდილმა კომენტატორებმა იქვე აღნიშნეს, რომ ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია, რამდენიმე თვეზე ადრე სასამართლო ვერ შეძლებს განაჩენის გამოტანასო. შემდეგ კი საკასაციო ინსტანციები, გასაჩივრება...

და უცებ, პროცესამდე ორი დღით ადრე, გაზეთებში გამოჩნდა მყვირალა ანშლაგები: პროცესი არ შედგება! ორივე მხარე „სიყვარულით" შეთანხმდა!

რა მოხდა? ნუთუ „მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელთა სინდისმა გაიღვიძა? არა. სრულიად უბრალოდ, იმავე კლუბის მოლარემ გამოიანგარიშა, რომ უფრო სასარგებლო იქნებოდა დათანხმებულიყვნენ ავიაკომპანიის მიერ შეთავაზებულ გარიგებას, ვიდრე ეხადათ ჰონორარი. იურისტებისთვის საეჭვო იყო, რომ ისინი თუნდაც რამდენიმე წლის შემდეგ მოიგებდნენ საქმეს. დღევანდელი კვერცხი ხვალინდელ ქათამზე სარფიანი აღმოჩნდა.

მაშ ასე, მკვდრების „სრულ ფასში" გაყიდვა არ მოხერხდა. და მაინც, როცა მანჩესტერის საკლუბო შენობაში სტუმრები შედიან, მათ ყურადღებას აღარ იქცევს დაღუპულთა პორტრეტები. ისინი უკვე ნაკლებ გამოსაჩენ ადგილზე დაკიდეს. კეთილ, ძველ ინგლისში აფასებენ წესიერებას...

თარგმნა ნ. ფოფხაძემ

„დინამოს" სტადიონი

**26 მაისი**

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

(„ა" კლასის II ჯგუფი)

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „არარატი" (ერევანი)

დასაწყისი 18 ს და 15 წ.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.



ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01216